ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 29.14.1063

„ 30 „ ოქტომბერი

2012 წ.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

2012 წლის 11 სექტემბერს ქ. თბილისის მერიას №12/143530-2 განცხადებით მომართა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გორგასალის 10“–ის თავმჯდომარე ზაზა აბესაძემ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №10–ის მიმდებარედ მდებარე (საკადასტრო კოდი №01.18.05.001.029) საოფისე შენობის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადება 2013 წლის 1 დეკემბრამდე და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 01.09.2008 წლის №908 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2013 წლის 1 დეკემბრამდე გადავადების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^2 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №10–ის მიმდებარედ მდებარე მშენებარე საოფისე შენობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ამხანაგობა „გორგასალის 10“–თან მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^2 მუხლის, ,,საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23^1 მუხლის ,,ფ“ ქვეპუნქტის და „სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „გორგასალის 10“–ის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 01.09.2008 წლის №908 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2013 წლის 1 დეკემბრამდე გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს ამხანაგობა „გორგასალის 10“–თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს ამხანაგობა „გორგასალის 10“–ის მიერ ქალაქ თბილისის მერის 01.09.2008 წლის №908 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადავადებას 2013 წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, ამხანაგობამ უნდა უზრუნველყოს შენობა–ნაგებობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მშენებლობის დასრულება და არაუგვიანეს 2013 წლის 1 დეკემბრისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–

ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და ამხანაგობა „გორგასალის 10“–ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 01.09.2008 წლის №908 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს (არისი ბოჭოიძე).

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე–მერს) დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე